



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010134286092518

09 / ოქტომბერი / 2018 წ.
1082/ს

სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მუხა, რცხილა და იფანის ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (შეშა)-სულ - 108 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N333) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 14 სექტემბრის დასკვნის N5005847418, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 27 სექტემბრის N09/36030 სამსახურებრივი ბარათის და 2018 წლის 03 ოქტომბრის N09/37236 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N333 ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ალგეთის სატყეო უბანი ხრამის სატყეო N79,92 კვარტალში სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 108,00 მ³ ფოთლოვანი სახეობის (იფანი, მუხა და რცხილა) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (შეშის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლებამოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს", ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს", ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად

გრიგოლი ბლიაძე